სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 79

2019 წლის 28 ივნისი

ქ. თბილისი

„ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის N66 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N834359, 24.06.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის N66 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული პირველი დანართის:
ა) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. საკონკურსო კომისია საკონკურსო განაცხადებს აფასებს ამ წესით დადგენილი კრიტერიუმებზე დაყრდნობით. საკონკურსო განაცხადის დაფინანსების აუცლებელი პირობაა 20 მაქსიმალური ქულიდან 15 ან მეტი ქულის მიღება“;
ბ) მე-15 მუხლის ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„საკონკურსო განაცხადის დაფინანსების აუცლებელი პირობაა 20 მაქსიმალური ქულიდან 15 ან მეტი ქულის მიღება. თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება იმ საკონკურსო განაცხადებს, რომლებიც მეტ ქულას დააგროვებენ პირველ კრიტერიუმში.“
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია